

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“
ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
ფინანსური ანგარიშგება	
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირების შეჩერებას.

ხელმძღვანელობა, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერდროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა
- რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 01 ოქტომბერს.

დირექტორი:




ქეთევან დონდუა

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“ ფინანსური ანგარიშგება

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“-ს სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2021-2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ერთეული ლარი)

	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი		1,065,578	933,569
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		1,065,578	933,569
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		(1,458,121)	(1,164,497)
საოპერაციო მოგება		(392,543)	(230,928)
ფინანსური ხარჯები			(6,484)
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან		(10,961)	(116)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		593,037	181,349
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		189,533	(56,179)
მოგების გადასახადი			(992)
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი			
წმინდა მოგება/ზარალი		189,533	(57,171)

დირექტორი




ქეთევან დონდუა

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“ ფინანსური ანგარიშგება

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“-ს ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება (ერთეული ლარი)

	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,503,236	1,506,046
არამატერიალური აქტივი	1783	1984
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტ.	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,505,019	1,508,027
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	155,482	78,080
სავაჭრო მოთხოვნები	705,399	428,851
გადახდილი ავანსები		17,513
მარაგები	10,774	4552
სხვა მიმდინარე აქტივები	26,911	27,347
სულ მოკლევადიანი აქტივები	898,566	556,343
სულ, აქტივები	2,403,585	2,064,370
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,414,849	2,414,849
გაუნაწილებელი მოგება	(355,958)	(545,491)
სულ, კაპიტალი	2,058,891	1,869,358
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	344694	194,085
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	0	927
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ, მოკლევადიანი ვალდებულებები	344,694	195,012
სულ, ვალდებულებები	344,694	195,012
სულ, კაპიტალი და ვალდებულებები	2,403,585	2,064,370

დირექტორი



ქეთევან დონდუა

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“ ფინანსური ანგარიშგება

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“-ს კაპიტალში
ცვლილებების ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2019 წელი	2,414,849	(1,045,106)	1,369,743
პერიოდის მოგება		266,239	266,239
გაცემული დივიდენდი	0		
31 დეკემბერი 2019 წელი		(778,867)	1,635,982
პერიოდის მოგება		290,547	290,547
გაცემული დივიდენდი	0	0	
31 დეკემბერი 2020 წელი		(488,320)	1,926,529
პერიოდის მოგება		(57,171)	(57,171)
გაცემული დივიდენდი			
31 დეკემბერი 2021 წელი	0	(545,491)	1,869,358
პერიოდის მოგება		189,533	189,533
31 დეკემბერი 2022 წელი		(355,958)	2,058,891

დირექტორი



ქეთევან დონდუა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“-ს (სნ 200272034) (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2009 წლის 31 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის გამზირი #12 და ფაქტიური მისამართია : დაბა კიკეთი, 26 მაისის ქუჩა. კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება. კომპანიის დირექტორი 2018-2019 წლებში წარმოადგენდა მარინა კაჭარავა, ხოლო 2020 წლის 4 ნოემბერს დირექტორად დაინიშნა ქეთევან დონდუა (პ/ნ 01005000623).

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებია

	2022 წ	2021 წ
1. შპს „კიკეთის სოციალური პროექტები“	100%	100%

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 01 ოქტომბერს.

2. მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. შესაბამისად ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში,
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

2022-2021 წწ

შენობა(ოფისი)	40-45
მანქანა - დანადგარები	5-6
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5-6
ავტოტრანსპორტი (მსუბუქი და ავტობუსი)	7-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“ ფინანსური ანგარიშგება

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“-ს ძირითადი საშუალებები
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1	2	3	4	5	6
ღირებულება					
ბალანსი 2021 წლის 01 იანვარი	1,487,434	35,257	726,571	831,119	3,080,381
მატება ჩამოწერა			19,457	3,427	22,884
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	1,487,434	35,257	746,028	834,546	3,103,265
მატება ჩამოწერა		4,020	17,555	31,461	53,036
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,487,434	39,277	763,583	866,007	3,156,301
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2021 წლის 01 იანვარი	267,739	30,962	605,490	639,977	1,544,168
ცვეთის ხარჯი გაყიდვა	26,774	548	17,786	7,943	53,051
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	294,513	31,510	623,276	647,920	1,597,219
ცვეთის ხარჯი	26,774	-481	19,688	9,866	56,809
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	321,287	31,030	642,964	657,786	1,653,066
ნარჩენი ღირებულება					
01 იანვარი 2021 წელი	1,219,695	4,295	121,081	191,142	1,536,213
31 დეკემბერი 2021 წელი	1,192,921	3,747	122,752	186,626	1,506,046
31 დეკემბერი 2021 წელი	1,166,147	8,247	120,619	208,221	1, 503,236

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ 01
31.12.2021 წ	1981	
ამორტიზაცია	(198)	()
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2022წ	1783	1783

3.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს, მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს, რომელიც განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის, საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ერთეული ლარი)

	31.12.2022 წ	31.12.2021 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	705,399	428,851
წინაწარ გადახდილი ავანსები		17,513
სხვა მოთხოვნები	26,911	27,347
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	732,310	473,711

ამონაგების აღიარება

კომპანია საქმიანობს განათლების სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება სწავლის ღირებულებისგან.

შემოსავალი	2022 წ	2021 წ
მომსახურება	1,011,903	917,293
სხვა შემოსავალი	53,675	16,276
სულ შემოსავალი	1,065,578	933,569

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020-2021 წწ (ერთეული ლარი)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2022 წ	31.12.2021წ
სავაჭრო ვალდებულებები	344,694	194,085
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	927
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	344,694	195,012

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო ანგარიშებზე და სალაროში არსებული ფულისაგან .

	31.12.2022 წ	31.12.2021 წ
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	90	30,664
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	154,414	46,218
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	979	1,198
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	155,482	78,080

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2020-2021 წ.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2022 წ.	2021 წ.
რეკლამის ხარჯი		740
ხელფასი	960,906	842,048
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	-	-
ფ/პ მომსახურების ხარჯი	3,944	383
მიმდინარე რემონტის ხარჯი	4,536	4,813
კომუნიკაციის ხარჯი	11,765	21,072
კომუნალური ხარჯი	105,452	69,856
კომპიუტერის ხარჯი	1,185	2,164
სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯი	146,533	37,251
სატრანსპორტო/ავტომანქანის ხარჯი	31,211	24,128
საკონსულტაციო ხარჯი		7,500
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	46,891	25,576
საწვავის ხარჯი	68,592	37,115
ცვეთა და ამორტიზაცია	58,668	53,051
მომსახურების ხარჯები	5,453	5,453
საგადასახადო ხარჯი	17,799	16,370
ბანკის საკომისიო	348	318
სხვა ხარჯი	291	16,660
სულ	1,458,121	1,164,497

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე

ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდის განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგების განაწილებისას თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2018-2019 წლებში ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს, აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებულ მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება.

ფინანსური შემოსავალი

	2022 წ.	2021 წ.
დაფინანსება და შემოწირულობა	593,037	156,275
დადებითი საკურსო სხვაობა	6,381	461
არასაოპერაციო მოგება		25,074
სულ ფინანსური შემოსავალი	599,418	181,810

ფინანსური ხარჯი

	2022 წ.	2021 წ.
საპროცენტო ხარჯი	-	
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-17,342	577
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		6,484
სულ ფინანსური ხარჯი	-17,342	7,061

რისკების მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს რისკების მართვის პოლიტიკას. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განსაზღვრულია იმგვარად, რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. კომპანიის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ.

კომპანიას მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.


საბაზრო რისკი

წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი



ქეთევან დონდუა